

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე ასისტენტ პროფესორის სამსახურში მისაღებად რექტორის 2023 წლის 18 დეკემბრის №324/01-01 ბრძანების საფუძველზე კომპიუტერულ მეცნიერებათა დეპარტამენტის პრაქტიკული ინფორმატიკის კათედრაზე გამოცხადებული კონკურსის ჩატარების უზრუნველსაყოფად უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2023 წლის 25 დეკემბრის №121/2023 დადგენილების საფუძველზე დამტკიცებული საკონკურსო კომისიის სხდომის

შემაჯამებელი ოქმი

„8“ თებერვალი, 2024 წ.

ქ. თბილისი

15:30 სთ., თსუ XI კორპ. ოთახი #324

სხდომას კომისიის წევრებიდან ესწრებოდა 5 წევრი:

1. მანანა ხაჩიძე – თსუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი (კომისიის თავმჯდომარე);
2. მაგდა ცინცაძე – თსუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე);
3. ირინა ხუციშვილი – თსუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი (კომისიის მდივანი);
4. ლელა ალხაზიშვილი – თსუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;
5. ტარიელ ხვედელიძე – თსუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი.

დღის წესრიგი:

1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის კომპიუტერულ მეცნიერებათა დეპარტამენტის პრაქტიკული ინფორმატიკის კათედრაზე ასისტენტ პროფესორის სამსახურში მისაღებად გამოცხადებულ კონკურსში შეფასების პირველი და მეორე ეტაპების შედეგების განხილვა, ურთიერთშეჯერება და შეჯამება.
2. კონკურსის შედეგების ამსახველი შემაჯამებელი ოქმის უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოსთვის დასამტკიცებლად გადაცემა.

მოისმინეს:

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის, პროფესორ მანანა ხაჩიძის ინფორმაცია საკონკურსო კომისიის მიერ შეფასების ორივე ეტაპის და ფარული კენჭისყრის შედეგების განხილვის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილებებისა და კონკურსის შედეგების შეჯამების შესახებ. მან აღნიშნა, რომ საკონკურსო დოკუმენტაცია იყო დალუქულ მდგომარეობაში და კანდიდატის საკონკურსო დოკუმენტაციის ლუქებისა და შეფუთვის სიმთელე დარღვეული არ იყო.

კომპიუტერულ მეცნიერებათა დეპარტამენტის პრაქტიკული ინფორმატიკის კათედრაზე ასისტენტ პროფესორის ერთ საკონკურსო თანამდებობის დასაკავებლად საბუთები შემოიტანა ერთმა კანდიდატმა:

1. გიორგი თუთბერიძემ.

კომისიის თავმჯდომარემ მიმოიხილა კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, გასაუბრებისა და კენჭისყრის შედეგები. მან აღნიშნა, რომ კონკურსანტ გიორგი თუთბერიძის განათლება, აკადემიური/სამეცნიერო ხარისხი (მათემატიკის დოქტორი), სამსახურებრივი გამოცდილება, პედაგოგიური სტაჟი აკმაყოფილებს მოთხოვნებს. შესაბამისად,

შეფასების I კატეგორიის (ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) მიხედვით კონკურსანტმა ერთხმად მიიღო შეფასება „კვალიფიკაცია აკმაყოფილებს მოთხოვნებს“.

შეფასების II კატეგორია (პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან): კონკურსანტის პედაგოგიური გამოცდილება (2012 წლიდან დღემდე არის თსუ -ს საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტის თანამშრომელი, 2019 წლიდან დღემდე არის საქართველოს უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი, 2022 წლიდან დღემდე არის თსუ -ს მოწვეული ლექტორი, 2023 წელს სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტში მიჰყავდა ინგლისურენოვანი საგანი) და საერთო პედაგოგიური სტაჟი, სასწავლო-მეთოდური საქმიანობა (12 სასწავლო ბაკალავრიატში და 3 კურსი მაგისტრატურაში) აკმაყოფილებს ვაკანსიის მოთხოვნებს. კონკურსანტის მიერ თსუ -ში წაკითხული სასწავლო კურსები, რომლებიც შეტანილია კომპიუტერულ მეცნიერებათა დეპარტამენტის საბაკალავრო/სამაგისტრო პროგრამების კურიკულუმის სავალდებულო საგნების ნუსხაში, ვაკანსიის პროფილის შესაბამისია. წარმოდგენილი სილაბუსების შინაარსი და ფორმა სრულად შეესაბამება თსუ-ში დადგენილ მოთხოვნებს. ამდენად, II კატეგორიაში კონკურსანტმა ერთხმად მიიღო შეფასება „მაღალი“.

შეფასების III კატეგორია (სამეცნიერო – კვლევითი საქმიანობა): კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ კონკურსანტს წარმოდგენილი აქვს 14 პუბლიკაცია იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალებში; კონკურსანტის ციტირების ინდექსია Google Scholar -ის მიხედვით - 158, Web of Science -ის მიხედვით - 62, Scopus -ის მიხედვით - 61; h-ინდექსი Google Scholar -ის მიხედვით - 9, Web of Science -ის მიხედვით - 5, Scopus -ის მიხედვით - 5; მოხსენებები საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებზე ბოლო 6 წლის განმავლობაში - 17, მოხსენებები ადგილობრივ სამეცნიერო კონფერენციებზე - 1; საგრანტო/სახელშეკრულებო პროექტებში მონაწილეობა - 5; თანამშრომლობა უცხოეთის სამეცნიერო ცენტრებთან - 1. კონკურსანტის მიერ საკონკურსო კომისიისათვის შესაფასებლად წარმოდგენილი სტატია შეფასდა, როგორც მაღალ სამეცნიერო დონეზე შესრულებული ნაშრომი. წარმოდგენილი სამოტივაციო წერილი აკმაყოფილებს დადგენილ მოთხოვნებთან. შედეგად, საერთო შეფასება III კატეგორიის ორივე ნაწილის მიხედვით არის „მაღალი“.

IV კატეგორია (სხვა სახის აქტივობა - ბოლო 6 წელი): აღნიშნულ კატეგორიაში ჩამოთვლილია კონკურსანტის მიერ განხორციელებული შემდეგი აქტივობები: კონკურსანტი არის საქართველოს მათემატიკოსთა კავშირის წევრი; არის დოქტორანტის თანახელმძღვანელი;

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მათემატიკის საბაკალავრო პროგრამის 2020 წლის აკრედიტაციის პროგრამული კომიტეტის წევრი. კონკურსანტი ფლობს ორ უცხო ენას: ინგლისურს - B2 დონეზე, რუსულს - A2 დონეზე; აქვს კომპიუტერთან მუშაობის უნარები. ამდენად, საერთო შეფასება IV კატეგორიის ორივე ნაწილის მიხედვით არის „მაღალი“.

კონკურსანტის შეფასების პირველი ეტაპის დასრულების შემდეგ, დადგენილი პროცედურების დაცვით, შეფასების მეორე ეტაპი - გასაუბრება გაიმართა.

გასაუბრების ეტაპზე კომისიის წევრების მიერ პრეტენდენტს დაესვა შეკითხვები, რომლებსაც მან ამომწურავი პასუხები გასცა. გასაუბრების პროცესში კომისიამ შეფასდა პრეტენდენტის პროფესიული უნარ-ჩვევები, დისკუსიაში ჩართულობა, გადმოცემისა და მსჯელობის კულტურა, ქცევისა და მეტყველების მანერა. გასაუბრებისას გამოვლინდა კონკურსანტის სამეცნიერო ინტერესები და სამომავლო გეგმები, ასევე სასწავლო პროცესების ორგანიზების მისეული ხედვა.

გასაუბრების შედეგად გამოვლინდა, რომ პრეტენდენტის კანდიდატურა შესაბამისობაშია კომპიუტერულ მეცნიერებათა დეპარტამენტის პრაქტიკული ინფორმატიკის კათედრაზე არსებულ ასისტენტ პროფესორის ვაკანსიის მოთხოვნებთან.

შეფასების პირველი და მეორე ეტაპების შედეგების ურთიერთშეჯერების საფუძველზე კონკურსის გამარჯვებულის გამოვლენის მიზნით ჩატარდა ფარული კენჭისყრა. კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო კომისიის 5 წევრმა. საკონკურსო კომისიამ ერთხმად (ხუთი მომხრე, არცერთი წინააღმდეგი) დაუჭირა მხარი გიორგი თუთბერიძის კანდიდატურას.

საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილება განპირობებულია კომპიუტერულ მეცნიერებათა დეპარტამენტის პრაქტიკული ინფორმატიკის, როგორც სამეცნიერო-სასწავლო ერთეულის, ფუნქციონირებისა და შემდგომი განვითარების მიზნებითა და ამოცანებით. გადაწყვეტილების მიღებისას კომისიამ გაითვალისწინა კონკურსანტ გიორგი თუთბერიძის სამეცნიერო აქტივობები, მისი პედაგოგიური საქმიანობა თსუ-ში (უძღვებოდა ლაბორატორიულ მეცადინეობებს საგნებში „დაპროგრამების საფუძვლები“ და „ობიექტზე ორიენტირებული დაპროგრამება 1 (C++)“, შეუძლია ასწავლოს საგნები „კომპიუტერული ICT წიგნიერება“ და „ობიექტზე ორიენტირებული დაპროგრამება 2 (C#)“, ასევე მისი კარგი მათემატიკური განათლება, რაც აუცილებელი პირობაა კომპიუტერულ მეცნიერებათა ბევრი სასწავლო კურსის სწავლებისთვის, კერძოდ, კონკურსანტის მიერ წასაკითხად შემოთავასებული სასწავლო კურსებისა - „კალკულუსი კომპიუტერული მეცნიერებისათვის“ და „მონაცემთა ანალიზი და სტატისტიკა“. კომისიამ ასევე გაითვალისწინა კონკურსანტის პიროვნული თუ პროფესიული თვისებები და უნარ-ჩვევები.

ერთხმად დაადგინეს:

1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის კომპიუტერულ მეცნიერებათა დეპარტამენტის პრაქტიკული ინფორმატიკის კათედრაზე ასისტენტ პროფესორის ერთ ვაკანტურ თანამდებობაზე გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულად გამოვლინდა **გიორგი თუთბერიძე**.

2. კომისიამ იმსჯელა უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ №118/2014 დადგენილებით დამტკიცებული აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების წესის შესახებ და ერთხმად დაადგინა - შემაჯამებელი ოქმი გამოქვეყნდეს საჯაროდ უნივერსიტეტის ვებგვერდზე და დასამტკიცებლად გადაეცეს უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს.

კომისიის წევრების ხელმოწერა

თარიღი 08.02.2024

კომისიის თავმჯდომარე:
პროფ. მანანა ხაჩიძე



კომისიის თავმჯდომარის მოადგილე:
პროფ. მაგდა ცინცაძე




კომისიის მდივანი:
ასოც. პროფ. ირინა ხუციშვილი



კომისიის წევრები:

ასოც. პროფ. ლელა ალხაზიშვილი



ასოც. პროფ. ტარიელ ხვედელიძე

